

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დავით სუჭაშვილი

**ბავშვები -  
თეორიზმის მომავალი**

თბილისი  
2020

წინამდებარე ნაშრომი ახდენს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირებას, როგორცაა რელიგიური ტერორიზმისა და კიბერტერორიზმის შესაძლო გავლენა ახალგაზრდა თაობაზე.

კვლევაში განხილულია საერთაშორისო ტერორიზმის გავლენის ქვეშ მყოფი ბავშვებისგან, შესაძლო საფრთხეები, ყურადღება გამახვილებულია ტერორიზმის ჭრილში ბავშვებისა და ახალგაზრდა თაობის კიბერდამოკიდებულებასა და მის შესაძლო უარყოფით გავლენასა და შედეგზე.

ნაშრომში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ საქართველოც დგას ამ გამოწვევის წინაშე. ასევე, ავტორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ტერორისტული დაჯგუფებების მხრიდან მომავალ თაობაზე ორიენტირებულმა სტრატეგიამ ბავშვები, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლად აქცია და მათი ჯანსაღ საზოგადოებაში რეინტეგრაციაც უდიდეს გამოწვევად დარჩება.

კვლევის მიზანია, საზოგადოების მხრიდან გაანალიზდეს და შეფასდეს ზემოთ მოყვანილი ფაქტორები, რაც საშუალებას მისცემს ცივილიზებულ სამყაროს სწორ ჭრილში დაინახოს მის წინაშე არსებული გამოწვევები.

**რედაქტორი** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**

**კონსულტანტი** საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღვა**

© დავით სუჯაშვილი

ISBN 978-9941-8-2713-6

ტერორიზმი XXI საუკუნის ყველაზე საშიშ გამოწვევად დარჩება და ამ კვლევის მიზანს სწორედ ამის ორი კონკრეტული ჭრილით დანახვა წარმოადგენს. ტერორიზმთან ბრძოლა ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს, საზრუნავია.

ტერორიზმთან ბრძოლა არ გულისხმობს მის წინააღმდეგ მხოლოდ ძალისმიერ, სპეციალურ ანტიტერორისტულ ღონისძიებათა კომპლექსს, იგი საჭიროებს მოვლენის მეცნიერულად შესწავლას, მათ შორის – ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური და სამართლის მიმართულებით საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, ასევე მნიშვნელოვანია წამოიჭრას კიბერტერორიზმის<sup>1</sup> საკითხი და ტერორიზმის მიმართულება, რომელიც შეიძლება ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ გამოიწვიოს.

ტერორიზმის შესწავლისას შეიძლება გაჩნდეს კითხვა - არის კი ეს ის საკაცობრიო პრობლემა, რომელიც მომავალშიც შეიძლება დარჩეს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად? ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არის, ვინაიდან ის არამართო შეეხო, არამედ შთანთქა ახალგაზრდა თაობა. ის თაობა, რომელმაც უნდა შეცვალოს ჩვენი თაობა, ანუ ტერორიზმის ნერგი დარგულია და მისი

---

<sup>1</sup> კიბერტერორიზმი - საერთაშორისო ჯგუფების ან სპეციალური აგენტების მიერ საინფორმაციო, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებსა და მონაცემებზე დაზიანების, რღვევის ან ბლოკირების მიზნით განხორციელებული წინასწარმომზადებული, არასამხედრო, პოლიტიკურად მოტივირებული დარტყმა. ხალხის პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად ან იდეოლოგიურად დაშინების მიზნით. ასევე მოიცავს სახელმწიფო ფინანსებზე ან ეროვნულ კომპანიებზე თავდასხმას.

ნაყოფი მხოლოდ დროის შესაბამის მომენტზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ძირითადად, ამ ნაყოფმა შეიძლება თავი მოიბას დედამიწის ყველა წერტილში და მისი პროგნოზირება საკმაოდ რთული, თითქმის შეუძლებელია. საზოგადოება ნაკლებად მოელის საფრთხეს ბავშვებისგან თუმცა ტერორიზმის გავლენის ქვეშ მყოფი ბავშვი არა ნაკლებ თუ არა მეტად საშიში იარაღი ხდება საერთაშორისო ტერორისტების ხელში.

თუ გავითვალისწინებთ იმ მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს, რომ ბავშვზე, რომელზეც განხორციელდა ძალადობა უმეტესწილად შესაძლებელია თვითონ გახდეს მოძალადე. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრიის ამერიკული აკადემიის მიერ 2015 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად<sup>2</sup>, გამოვლინდა ფაქტორები, რომელთა კომპლექსური ინტერაქცია და კომბინაცია, ზრდის ძალადობრივი ქმედების რისკს ბავშვებსა და მოზარდებში, კერძოდ:

- აგრესიული ან ძალადობრივი ქცევის არსებობა;
- ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა;
- ოჯახში ან/და საზოგადოებაში ძალადობა;
- ბულინგი;
- გენეტიკური დეტერმინირებული ფაქტორები;
- მედიაში (ტელევიზია, კინო და ა.შ.) გავრცელებული ძალადობის ზემოქმედება;

---

<sup>2</sup> პროფესიული ასოციაცია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში 1953 წელს დაარსდა. მისი მიზანია ბავშვების, მოზარდების და ოჯახების ჯანსაღი, ჯანმრთელი განვითარების ხელშეწყობა განათლების, კვლევებისა და ადვოკატირების მეშვეობით, ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://www.aacap.org/>.

- ნარკოტიკებისა ან/და ალკოჰოლის მიღება;
- ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა სახლში;
- სტრესული ოჯახური სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების კომბინაცია (სიღარიბე, უმუშევრობა, მართობელა მშობელი, ოჯახის მხარდაჭრის დაკარგვა, ცოლ-ქმრის დაშორება, მძიმე დანაკარგი);
- ტვინის დაზიანება, თავზე მიღებული ტრამვის შედეგად<sup>3</sup>.

ტერორიზმში ჩართვის, ე.წ. „ტერორისტებად“ ქცევის პროცესში ბავშვები ხდებიან ტერორისტული დაჯგუფებების მხრიდან ძალადობის/იძულების და/ან მანიპულაციის მსხვერპლნი. ძალადობრივ ექსტრემიზმში არასრულწლოვნების ჩართულობის მიზეზები განსხვავებულია და უმეტესად დამოკიდებულია ადგილობრივ (კონკრეტულ რეგიონალურ) და ინდივიდის პიროვნულ მახასიათებელ ფაქტორებზე. გარდა ამისა, ბოლო წლებში სოციალური მედიის, კიბერ სივრცის განვითარებამ მომავალი თაობის ფსიქიკაზე საკმაოდ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა. დღევანდელ მსოფლიოში არიან ბავშვები, რომლებიც ან პირდაპირ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი და ტერორისტულმა ორგანიზაციებმა რეკრუტირების გზით აქციეს მოძალადეებად ან ბავშვები რომლებიც ძალადობას სწავლობენ ვირტუალური სამყაროს ზეგავლენით.

---

<sup>3</sup> American Academy of Child & Adolescent Psychiatry. (2015). Violent Behavior in Children and Adolescents. [https://www.aacap.org/AACAP/Families\\_and\\_Youth/Facts\\_for\\_Families/FF-F-Guide/Understanding-Violent-Behavior-In-Children-and-Adolescents-055.aspx](https://www.aacap.org/AACAP/Families_and_Youth/Facts_for_Families/FF-F-Guide/Understanding-Violent-Behavior-In-Children-and-Adolescents-055.aspx)

ხელოვნური ინტელექტისგან<sup>4</sup> კაცობრიობა მოელის მათ წინაშე არსებული პრობლემების უმოკლეს გზით მოგვარებას. აქ ისმის კითხვა - ამ მოცემულობაში არის კი კაცობრიობა დაზღვეული? რადგანაც ხელოვნური ინტელექტი თუ დაიწყებს კაცობრიობის პრობლემების ანალიზს, დიდი ალბათობით დაადგენს, რომ ადამიანის წინაშე მდგარი პრობლემების და დედამიწაზე ცოცხალი გარემოს დაზიანების მთავარი წყარო თვითონ ადამიანია. ამ მოცემულობაში არ უნდა გამოირიცხოს ვირტუალურ სივრცეზე დამოკიდებული მყიფე ფსიქიკის ბავშვების რეკრუტირება ტერორისტებად, მითუმეტეს, რომ მსოფლიოში უკვე არსებობს ამის დამადასტურებელი ფაქტები, მაგალითად, ინტერნეტ თამაში „ლურჯი ვეშაპი“, რომელიც მოზარდებს თვითდაზიანების, და თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. ამ თამაშს საკმაოდ ბევრი მოზარდის სიცოცხლე შეეწირა, განსაკუთრებით 2015-2017 წლებში<sup>5</sup>.

„ლურჯი ვეშაპის“ გავრცელების არეალში საქართველოც მოხდა. კერძოდ, დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი 13-14 წლის ასაკის ბავშვებში, რომლებსაც მცდელობა ქონდათ საკუთარი თავის დაზიანების. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების დროს ბავშვებმა უარყვეს თამაშთან კავშირი, მათ მიერ ჩადენილი ქმედება

---

<sup>4</sup> ხელოვნური ინტელექტი - კომპიუტერული მეცნიერების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალურ კომპიუტერულ მანქანის/პროგრამის შექმნას რომელსაც ექნება უნარი მიაღწიოს ადამიანის ინტელექტის გაგებას. ინტელექტუალობის დონის განსაზღვრება მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ამოცანის გადაჭრა დაისახება. ხელოვნური ინტელექტის წარმოქმნის თარიღად მიიჩნევენ XIX საუკუნეს.

<sup>5</sup> Adeane, A. (2019, January 13). Blue Whale: The truth behind an online “suicide challenge.” BBC News. <https://www.bbc.com/news/blogs-trending-46505722>

და თამაშის პირობები თანხვედრაშია. გარდა ამისა, საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია ძალადობრივი ელემენტების შემცველი კომპიუტერული თამაშები.

აღნიშნული თამაშის მიზანი უფრო თვითდაზიანება იყო, სადაც თვითმკვლელობა საბოლოო დავალებას წარმოადგენდა. ხოლო სხვა თამაშების კონტენტი მოზარდებს, მცირეწლოვნებს სხვათა მიმართ ძალადობისკენ უბიძგებს, მაგალითად ამერიკაში, ლუიზიანაში რვა წლის ბავშვმა მისი მოხუცი მომვლელი გამიზნულად მოკლა ვიდეო თამაშის ყურების შემდეგ<sup>6</sup>.

სტივენ ჰოკინგის<sup>7</sup> 2014 წელს ნათქვამი სიტყვები, დღეს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. მან აღნიშნა, რომ „ვინაიდან ხელოვნური ინტელექტის მოკლევადიანი ზემოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ აკონტროლოებს მას, გრძელვადიანი გავლენა დამოკიდებულია იმაზე, შესაძლებელია თუ არა მისი კონტროლი საერთოდ”<sup>8</sup>.

ამერიკელი პროფესორების ბუშმანისა<sup>9</sup> და ანდერსონის<sup>10</sup> მიხედვით, საკმარისი კვლევაა ჩატარებული, იმისათვის რომ

---

<sup>6</sup> Russel, Lauren. (2013). Police: 8-year-old shoots, kills elderly caregiver after playing video game. CNN. <https://edition.cnn.com/2013/08/25/us/louisiana-boy-kills-grandmother/index.html>

<sup>7</sup> სტივენ უილიამ ჰოკინგი - ბრიტანელი ფიზიკოსი და ასტროფიზიკოსი, 1942-2018.

<sup>8</sup> Griffin, A. (2014, December 3). Stephen Hawking: AI could be the end of humanity. The Independent: <https://www.independent.co.uk/news/science/stephen-hawking-ai-could-be-end-humanity-9898320.html>

<sup>9</sup> ბრედ ჯ. ბუშმანი - ამერიკელი პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით.

<sup>10</sup> ქრეიგ ა. ანდერსონი - ამერიკელი პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.

გაკეთდეს დასკვნა - ძალადობრივმა ვიდეო თამაშებმა შეიძლება გამოიწვიოს აგრესიული ქცევის მატება, ძალადობრივი მოქმედებების ზრდა, რაც, თავის მხრივ, ეფექტიან ინსტრუმენტად გარდაიქმნება ტერორისტებისათვის<sup>11</sup>.

2007 წელს ტერორისტულმა დაჯგუფებამ - ჰეზბოლამ გამოუშვა ვიდეო თამაში - „*Special Force 2: Tale of the Truthful Pledge*“ - რომელიც ასახავდა ლიბანში ომს ჰეზბოლას მეზობლის პერსპექტივით. ეს ვერსია, წინასვან განსხვავებით, მხოლოდ არაბულად იყო, თუმცა ახლო აღმოსავლეთში წარმატებულად გაიყიდა 100,000 ეგზემპლარი<sup>12</sup>. მთლიანობაში აღნიშნული თამაში მორგებული იყო ბავშვების გემოვნებაზე, მათ შთაგონებასა და რეკრუტირებაზე, რაც დაადასტურა ჰეზბოლას მედია წარმომადგენელმა ალი დაჰრმაც, როდესაც განაცხადა, რომ თამაში წარმოადგენს ბავშვების წინააღმდეგობის კულტურას: რომ კორუფციას უნდა ებრძოლო, მიწა და ნაცია დაიცვა<sup>13</sup>.

2014 წელს, „ისლამურმა სახელმწიფომ“ გაავრცელა ვიდეო თამაში „*3D third-person shooter Grand Theft Auto 5*“ (75 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა 2017 წლის თებერვლის მონაცემებით), რომლის მიზანი ახალგაზრდების რეკრუტირება იყო<sup>14</sup>.

---

<sup>11</sup> Bushman, J. Brad, Craig A. Anderson. (2002). *Violent Video Games and Hostile Expectations: A Test of the General Aggression Model*. Personality and Social Psychology Bulletin 28, no. 12.

<sup>12</sup> CNN. (2007). "Hezbollah video game: War with Israel". <http://edition.cnn.com/2007/WORLD/meast/08/16/hezbollah.game.reut>

<sup>13</sup> იქვე;

<sup>14</sup> Lakomy, M. (2017). Let's Play a Video Game: Jihadi Propaganda in the World of Electronic Entertainment. *Studies in Conflict & Terrorism*, 42(4), 383–406. <https://doi.org/10.1080/1057610x.2017.1385903>



დაეშმა, ასევე გაავრცელა თამაშის - „*Grand Theft Auto: Salil al-Sawarem*“,<sup>15</sup> თრეილერი, აქამდე არაა დაზუსტებული თამაშის სრული ვერსია გაიყიდა თუ არა, თუმცა მას დიდი რაოდენობის მაყურებელი ყავდა. თრეილერის მიხედვით, მოქმედება ხდება უდაბნოში, სადაც ტერორისტები თავს ესხმიან პოლიციელებს, ჯარისკაცებს, სამხედრო კოლონებს და კლავენ მათ. თამაშის პერსონაჟი სროლისას ყვირის Alla hu Akbar. დღეის მონაცემებით აღნიშნული თიზერი/ანონსი დაბლოკილია youtube-ის არხზე.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საშუალებას იძლევა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით აზროვნება ახალ დონეზე ავიდეს. შემეცნებითი ტექნოლოგია მიმდინარე და სამომავლო საფრთხეების უფრო სწრაფი ანალიზის საშუალებას იძლევა. თუმცა აქ ისმის კითხვა - შესაძლებელია თუ არა ვირტუალური ტერორიზის წინააღმდეგ ისე ენერგიულად ბრძოლა, როგორც ამ პრობლემის გადაჭრის სხვა ფორმების დროს? მაშინ, როდესაც ტერორიზმის წინააღმდეგ შექმნილი ტექნოლოგიები ხშირად ტერორისტების მხრიდანაც გამოიყენება ეფექტიანად, რადგან ისინი ისევე კარგად ითვისებენ ტექნოლოგიურ პროგრესს, როგორც მის წინააღმდეგ მებრძოლნი და მას იყენებენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებში, ბავშვებსა და მოზარდებზე.

მეორე პრობლემა, რომელმაც შეიძლება მომავალში თავი იჩინოს, არის ახალგაზრდა თაობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აღმოჩნდა რელიგიური ტერორის გავლენის ქვეშ.

---

<sup>15</sup> Grossman M.Michelle. (2014). Watc:Islamic State’s terror video game. The Jerusalem Post. <https://www.jpost.com/middle-east/is-claims-it-created-a-terror-video-game-375935>

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების სერიამ ტერორიზმს სრულიად ახალი სახე შესძინა, ხოლო ეგრეთ წოდებული „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნამ კრიტიკულ ნიშნულს გადააბიჯა.

მსოფლიოში განხორციელებულმა ტერაქტებმა ტერორიზმი პოლიტიკური ბრძოლის საშიშ იარაღად აქცია.

რელიგიური ტერორიზმი, ტერორიზმის განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელიც მოითხოვს საკითხის შესწავლას არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და ფილოსოფიური კუთხითაც<sup>16</sup>. რელიგიური ტერორიზმის განხილვისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ისლამური ტერორიზმი, რომელიც გარდა კონკრეტული პოლიტიკური შედეგების მიღწევისა, მიზნად ისახავს, ისლამური ცივილიზაცია აქციოს მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ძალად და წარმატებული მეტოქეობა გაუწიოს ცივილიზებული დასავლეთის მიერ დამყარებულ მსოფლიო წესრიგს<sup>17</sup>.

ახლო აღმოსავლეთში არსებული მოუგვარებელი კონფლიქტები სასურველი ნიადაგი აღმოჩნდა რელიგიური (ისლამური) ტერორიზმის განვითარებისათვის, რამაც საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ რეგიონის უსაფრთხოებას, არამედ დანარჩენ მსოფლიოსაც<sup>18</sup>.

---

<sup>16</sup> Jessie Hill, Adam F. Kinney, (2007-2008), Sacred Violence: Religion and Terrorism, *Case Western Reserve Journal of International Law*, Vol. 39, P.703.

<sup>17</sup> Hoffman B. (2006), Inside Terrorism. Religion and Terrorism. *Columbia University Press, New York*, P. 127.

<sup>18</sup> უკანასკნელ წლებში მსოფლიოში ტერაქტების შედეგად დაღუპულთა დაახლოებით 70% სუნიტი, ხოლო 24% შიიტი ტერორისტების მიერ განხორციელებულ ტერაქტებზე მოდის.

ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ არაკონვენციური ომის წარმოებით ტერორიზმმა კიდევ უფრო მასშტაბური სახე შეიძინა. ტერორიზმის ამბიციები იმდენად გაიზარდა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციით ტერორიზმის იდეოლოგიაზე დამყარებული ისლამური სახალიფოს შექმნა დაისახა მიზნად.

თანამედროვე მსოფლიოს საზოგადოების ცნობიერებაში ისლამური ტერორიზმის მასშტაბებმა ის რელიგიური ტერორიზმის სინონიმად აქცია, მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის ამ სახეს სხვა კონფესიის მიმდევრებიც მიმართავდნენ.

მსოფლიოში სოციალური დისბალანსის ზრდას, სხვადასხვა ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რყევებსა და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისებს თან სდევს საზოგადოებაში ნიჰილიზმის მატება. ჩნდება მოთხოვნა სულიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულს კი საკმაოდ კარგად იყენებენ სხვადასხვა რელიგიური თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საფარქვეშ მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციები, საზოგადოების უკმაყოფილო, მოწყვლადი ნაწილის რადიკალიზაციისათვის. სწორედ ამ მიზნისთვის ტერორისტული დაჯგუფებები იყენებენ პოლიტიკური მართვის ტექნოლოგიებსა და ტერორისტული აქტების სერიებს, რაც დიდ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე. როცა საზოგადოების ცნობიერება მათი გავლენის ქვეშ ექცევა, იწყება ამ საზოგადოების მანიპულაცია.

ტერორისტული ორგანიზაციების, მათ შორის, ბოლო პერიოდში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებულ პროპაგანდისტულ ვიდეომასალებსა და პუბლიკაციებში ხშირად

ფიგურირებენ ბავშვები და მოზარდები. პროპაგანდისტული მედიის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა იმ ძალადობრივი ეგზეკუციების გაშუქებას, სადაც ბავშვები, როგორც ჯალათები, უშუალოდ იღებენ მონაწილეობას (სურათი N1).

*სურათი N1*



უკანასკნელი პერიოდის „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდა ასახავს ათეულობით ჯალათი ბავშვისა და შაჰიდი მებრძოლის მომზადებისა და საველე წვრთნების ფაქტებს<sup>19</sup>.

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების იძულება, გაწევრიანდნენ ტერორისტულ დაჯგუფებაში, ძირითადად ხდება გატაცებების გზით. თუმცა, „ისლამური სახელმწიფო“ სისტემატურად ეწევა ფსიქოლოგიურ იძულებასაც, რაც გამო-

---

<sup>19</sup> ყველაზე მეტი ვიდეო და ფოტომასალა, რომლებშიც ასახულია ბავშვების და მოზარდების მონაწილეობა არა მარტო საბრძოლო მოქმედებებში, არამედ თვითმკვლელი ტერორისტების მიერ განხორციელებულ თავდასხმებში, გავრცელებულია „დაეშ“-ის ერაყულ ვილეთებში მოქმედი დაჯგუფებების მიერ.

იხატება ადრეული ასაკიდანვე ზეწოლასა და იდეურ-რელიგიურ დამუშავებაში. ტერორისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ასევე ხშირია ექსტრემისტულ დაჯგუფებებში ბავშვებისა და მოზარდების გაწევრიანება იმ შიშის გამო, რომელსაც ისინი განიცდიან ტერორისტების მიმართ<sup>20</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ისლამური სახელმწიფოს მიერ ბავშვების გადაბირება და გატაცება, აღნიშნული საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. ბავშვების გამოყენება ხდებოდა და ხდება, პალესტინური ტერორისტული დაჯგუფებების, „ჰამასის“, „ალ-ქაიდას“, „თამილელი ვეფხვების“, „ალ-შაბაბის“ და სხვათა მიერ. პირველი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ავღანეთში სწორედ 14 წლის სნაიპერმა იმსხვერპლა<sup>21</sup>. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2009 წლიდან ბოკო ჰარამმა ნიგერიაში დაახლოებით 8,000 ბავშვის რეკრუტირება განახორციელა<sup>22</sup>. ასევე, გაეროს ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს ისლამურმა სახელმწიფომ (ISIS) სირიაში 274 ბავშვის რეკრუტირება შეძლო, ხოლო სამხედრო წვრთნები უტარდებოდა სულ

---

<sup>20</sup> Anderson K. Cubs of the Caliphate. The Systematic Recruitment, Training and Use of Children in the Islamic State. (2016). pdf (<http://www.drake.edu/media/departmentsoffices/international/nelson/2016%20paper,%20Children%20in%20ISIS,%20K.%20Anderson.pdf>)

<sup>21</sup> Peter. W. Singer. (2005). The New Children of Terrorism. Chapter 8. Forest, J. J. (2006). The making of a terrorist: Recruitment, training and root causes. Westport, CT: Praeger Security International.

<sup>22</sup> Handbook on Children Recruited and Exploited by Terrorist and Violent Extremist Groups: The Role of the Justice System. (2017). [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/ChildVictims/Handbook\\_on\\_Children\\_Recruited\\_and\\_Exploited\\_by\\_Terrorist\\_and\\_Violent\\_Extremist\\_Groups\\_the\\_Role\\_of\\_the\\_Justice\\_System.E.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/ChildVictims/Handbook_on_Children_Recruited_and_Exploited_by_Terrorist_and_Violent_Extremist_Groups_the_Role_of_the_Justice_System.E.pdf)

ცოტა 124 ახალგაზრდას, რომელთა ასაკი 10-სა და 15 წელს შორის მერყეობდა<sup>23</sup>.

*სურათი N2<sup>24</sup>*



*საწვრთნელი ბანაკი*

ე.წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ ქალაქ მოსულიდან 2014 წელს 800-900, ხოლო 2015 წლის სექტემბერში 1000-ზე მეტი ბავშვი გაიტაცა<sup>25</sup>.

2015-2016 წლებში მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, ISIS-ის შეიარაღებულ შეტაკებებში „წამებულის“ სტატუსით 89 ბავშვი გარდაიცვალა<sup>26</sup>. აღსანიშნავია, რომ მათ შორის იყვნენ არა მხოლოდ ერაყისა და სირიის, არამედ ავსტრალიის,

---

<sup>23</sup> იქვე;

<sup>24</sup> სურათი N2 ასახავს ისლამური სახელმწიფოს საწვრთნელ ბანაკებს ბავშვებისთვის. <https://www.newsweek.com/isis-training-army-child-soldiers-396392>

<sup>25</sup> United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). (2017). Handbook on Children Recruited and Exploited by Terrorist and Violent Extremist Groups: The Role of the Justice System. Vienna.

<sup>26</sup> იქვე;

საფრანგეთის, ლიბიის, მაროკოს, ნიგერიის, საუდის არაბეთის, სუდანის, ტაჯიკეთის, ბრიტანეთის, ჩრდოლოეთ ირლანდიის და იემენის წარმომადგენლებიც. ხაზგასასმელია, რომ ეს მონაცემები არ მოიცავს იმ ბავშვებს, რომლებიც მშობლების თანხმობით და/ან მათთან ერთად იმყოფებიან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში.

*ბავშვები და მოზარდები გამოიყენებიან არა მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციების მიმდინარე ამოცანების შესასრულებლად, არამედ მოიაზრებიან მომავალში რადიკალური იდეების პროპაგანდისა და ძალადობრივი პოლიტიკის გამტარებელ ძალად, რომლის მეშვეობითაც მოხდება "ისლამური სახელმწიფოს" თუ სხვა ტერორისტული დაჯგუფების გადარჩენის და გაფართოების უზრუნველყოფის გრძელვადიანი გეგმის განხორციელება.*

ბავშვებში, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე იზრდებიან ფსიქოლოგიური და რელიგიური წნეხის პირობებში, რადიკალური ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერები პერსპექტივაში ხედავენ ამჟამინდელ ტერორისტებზე უფრო სრულყოფილ და დაუნდობელ მებრძოლებს.

არასრულწლოვნების ტერორისტულ ან ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში მოხვედრის გზები განსხვავებულია – ეს შეიძლება იყოს გატაცება, ტრეფიკინგი, იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადაბირება, ექსტრემისტულ გარემოში დაბადება. ამავდროს გატაცებების, ტრეფიკინგის და ძალადობრივი რეკრუტის მსხვერპლთა რიცხვი ძალზე დიდია.

ტერორისტული ორგანიზაციების რეკრუტირების მიმართ არასრულწლოვნების დაუცველობა და მოწყვლადობა შესაძლოა

განაპირობოს რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის, ახალგაზრდების ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ ტერორისტულ ჯგუფებთან მთელი რიგი მოტივების საფუძველზე:

– **განდიდების პერსპექტივა** – პატივისცემისა და სახელის მოპოვება<sup>27</sup>;

– **ჯგუფის იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მოქცევა** – მოწყვლადობა ექსტრემისტული პროპაგანდის მიმართ. ახალგაზრდები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ტერორისტული ნარატივების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის პროპაგანდის ლომის წილი მოდის მასმედიაზე, ასევე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ზოგ შემთხვევებში საგანმანათლებლო დაწესებულებები გვევლინებიან რადიკალიზაციის ხელშემწყობ ინსტიტუტად<sup>28</sup>. არსებული ცნობებით, „ალ-შაბაბი“ აქტიურად იყენებს რეგიონში მოქმედ ე.წ. „ყურანის სკოლებს“ (მედრესეებს) ბავშვების რეკრუტირების მიზნით. აღნიშნული კუთხით ნიშანდობლივია IS-ის მიერ ინდოქტრინაციაზე დაფუძნებული განათლების სისტემა. კერძოდ, კარგად ორგანიზებული რელიგიურ-პროპაგანდისტული „საგანმანათლებლო“ სისტემის მიერ ბავშვების ინდოქტრინაცია იწყება სკოლებში და შემდგომ ძლიერდება სპეციალურ საწვრთნელ ბანაკებში, სადაც 10-15 წლის ბავშვები ეცნობიან შარიათის კანონებსა და სამხედრო საქმეს. სწავლის პერიოდში მათ უყალიბდებათ რადიკალური მსოფლმხედველობა და კონკრეტული უნარები – ემსახურონ „გლობალური ჯიჰადის“ საქმეს.

---

<sup>27</sup> სუჯაშვილი, დ. (2018). საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო. თბ., გამ. „საარი“.

<sup>28</sup> იქვე;



„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე არსებულ დაწყებით სკოლებში სასწავლო გეგმა არ მოიცავს ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა ხატვა, მუსიკა, ფილოსოფია, ლიტერატურა. მათ ნაცვლად, ბავშვებს ინტენსიურად ასწავლიან ყურანს და უტარებენ ე.წ. „ჯიჰადის ტრენინგს“, რომელიც მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებას. გარდა ამისა, სირია-ერაყის მიღმა ISIS-ის მიმდევრებისა და მხარდამჭერების ხელშეწყობით ფუნქციონირებდა ექსტრემისტული ნარატივების სკოლები (მედრესეები), სადაც ხორციელდებოდა ბავშვების რადიკალიზაციისა და პოტენციური ახალწვეულების რეკრუტირების პროცესი;

*სურათი N3.<sup>29</sup>*



*„ისლამური სახელმწიფოს“ სკოლა*

ძირითადი სასწავლო წიგნია „მე ვარ მუსლიმი“, რომელიც შედგება ყუმბარების, ტანკების, საბრძოლო პოზიციების სურათებისაგან, რაც საბოლოოდ დაკავშირებულია ორგანიზაციის

---

<sup>29</sup> სურათი N3 ასახავს „ისლამური სახელმწიფოს“ სკოლებს იმ სახით, როგორითაც ის პროპაგანდისტულ ვიდეოებშია წარმოჩენილი.

სამხედრო სტრატეგიასთან<sup>30</sup>. სწავლებისას ხდება სამი კომპონენტის სინთეზი, ესენია:

- თეორიული – რომელ სიტუაციაში, რომელი იარაღის გამოყენებაა უკეთესი.

- იდეოლოგიური – სწორედ ამაზე კეთდება მთავარი აქცენტი, ფუნდამენტით ჩვენ მათ წინააღმდეგ;

- ფიზიკური – აქცენტი გამძლეობაზე, მორჩილებასა და დაგეგმილად მოქმედებაზე.

სწავლების დროს მათ უჩვენებენ, რომ ძალადობა და თავის მოკვეთა ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. სურათი N4 ასახავს სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოს, სადაც ბავშვებს თავის მოკვეთას ჯერ სათამაშოზე, ხოლო შემდეგ რეალურ ადამიანზე ასწავლიან. გარდა ამისა, ინსტრუქტორი ბავშვებს უნერგავს ტერორისტული დაჯგუფებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას, რის შედეგადაც ოჯახი მათთვის უკანა პლანზე ინაცვლებს.

**პირადი კავშირები, მათ შორის ოჯახური და მეგობრული კონტაქტები, ასევე სოციალური ქსელების გავლენა** - ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები გადაბირების მიზნით იყენებენ როგორც ღია წყაროებს (სოციალურ ქსელებს), ასევე შერჩევით რეკრუტირებას. ამ უკანასკნელის დროს ფიქსირდება ოჯახური კავშირების, თანატოლებისა და სოციალური ინსტიტუტების, მათ შორის, საგანმანათლებლო, ჩართულობა.

---

<sup>30</sup> The Children of ISIS The indoctrination of minors in ISIS-held territory A joint publication by the National Coordinator for Security and Counterterrorism (NCTV) and the General Intelligence and Security Service (AIVD). (2017). [https://radical.hypotheses.org/files/2018/01/Minderjarigen\\_bij\\_ISIS\\_ENG.pdf](https://radical.hypotheses.org/files/2018/01/Minderjarigen_bij_ISIS_ENG.pdf)

ბევრი ადამიანი რეკრუტირდება ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიმართ სიმპათიის გათვალისწინებით, ან სჯერა, რომ გაწევრიანება დაეხმარება მათ, დაიცვან საკუთარი ოჯახები და სოციალური. აფრიკის ტერიტორიაზე მოქმედ ექსტრემისტულ ჯგუფებში მოხვედრილი არასრულწლოვნების უმრავლესობა დაჯგუფებებში ხვდება ნაცნობებ-მეგობრების ხელშეწყობით<sup>31</sup>.

*სურათი N4*



აღნიშნული ნიშნით გაწევრიანებულ კატეგორიაში სავარაუდოდ უნდა შევიყვანოთ ის ქალები და ბავშვები, რომლებიც ავტომატურად აღმოჩნდნენ ასოცირებულები ექსტრემისტულ საქმიანობასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ოჯახის მამრობითი სქესის წევრები (მამა, ქმარი) ნებაყოფლობით შეუერთდნენ ტერორისტულ დაჯგუფებებს;

---

<sup>31</sup> სუჯაშვილი, დ. (2018). საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო. თბ., გამ. „საარი“.



აპლიკაცია ბავშვებისთვის

ეს აპლიკაცია ბავშვებს ეხმარება არაბული ენის შესწავლაში, სადაც თითოეული სიტყვა დაკავშირებულია სამხედრო ტერმინებთან, საბრძოლო მოქმედებებთან და იარაღის სახეობებთან.



სურათი პროპაგანდისტული ვიდეოდან, რომელიც ვიდეო თამაშის იმიტირებაა.

რეალური ან მათ მიერ აღქმული გარიყვა სოციუმიდან – უკმაყოფილება, სოციალური ან პოლიტიკური მარგინალიზაცია. საყურადღებოა, რომ რადიკალიზაციის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი ასევე, შესაძლოა, გახდეს განათლება-

მიღებული ახალგაზრდების მხრიდან განცდილი იმედგაცრუება. ზოგიერთი კვლევის შედეგების თანახმად, განათლებამიღებული პირების ჩართულობა ტერორისტულ საქმიანობაში უფრო მაღალია, ვიდრე არასრული განათლების მქონე წევრების<sup>32</sup>. სოციალური და პოლიტიკური მარგინალიზაციის დროს ახალგაზრდები გარიყულად გრძნობენ თავს საკუთარი თემის ან საზოგადოების მხრიდან, რაც ერთგვარი განმსაზღვრელი ფაქტორია ტერორისტულ ორგანიზაციაში ჩართულობის ხელშესაწყობად. ამ დროს ტერორისტული დაჯგუფებები ფაქტობრივად ახდენენ პოზიციურებას, რომლითაც ისინი სთავაზობენ ახალწვეულებს ალტერნატიულ სივრცეს და აქტიურ პროცესებში მონაწილეებას.

**ეკონომიკური სარგებლის მიღების ან გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის ალბათობა; ეკონომიკური სიდუხჭირე** – ეკონომიკური ფაქტორები და გადაბირება ურთიერთგადაჯაჭვული პროცესია, თუმცა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჩატარებული კვლევების თანახმად, ეკონომიკური ფაქტორები ძირითადად, არაა განმსაზღვრელი რადიკალიზაციისა და რეკრუტირებისათვის. მაგალითად, შესწავლილ იქნა ISIS-ის და „ალ-ქაიდას“ სირიულ ფრთა „ჯაბჰატ ალ-ნუსრას“ რიგებში გაწევრიანებული იორდანელების შემთხვევები, რომელთა მოტივაციაშიც აბსოლუტურად უგულვებელყოფილი იყო ეკონომიკური სარგებლის საკითხი. აღნიშნულის მიუხედავად, ეკონომიკური ფაქტორი ერთგვარი განმსაზღვრელია „ბოკო ჰარამისა“ და „ალ-შაბაბის“ მაგალითზე – დასაქმების არასაკმარისი შესაძლებლობები, ასევე, განათლების მისაღებად გადასახადის არქონა აქტიურად

---

<sup>32</sup> იქვე;


გამოიყენება ამ ორგანიზაციების მიერ რეკრუტირების ხელშემწყობ ფაქტორად.

**გეოგრაფიული სიახლოვე კონფლიქტის წერტილთან** – აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს როგორც იძულებითი, ასევე ნებაყოფილობით გადაბირების თვალსაზრისით ტერორისტულ დაჯგუფებებში. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითია „ბოკო ჰარამის“ მიერ განხორციელებული მასობრივი გატაცებები. ამასთან, აღნიშნული ფენომენი ასევე განაპირობებს ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში, მაგალითად, „ბოკო ჰარამის“ თავდასხმები და გატაცებები ფაქტობრივად უწყობს ხელს და აქეზებს ახალგაზრდების ჩართულობას ტერორისტულ ჯგუფთან დაპირისპირებულ შეიარაღებულ ფორმირებებში (ნიგერიაში, ჩადში, კამერუნსა და ნიგერში), რომელთა დეკლარირებულ მიზანსაც წარმოადგენს საკუთარი თემის დაცვა ექსტრემისტული ჯგუფებისგან. აღსანიშნავია, რომ „ბოკო ჰარამის“ ყოფილი წევრების ნახევარზე მეტი აფიქსირებდა, რომ მათ ჰქონდათ კერძო ბიზნესი და დაჯგუფებაში ჩართვის მოტივატორი იყო ხსენებული ბიზნესისთვის გარანტიები და ფინანსური სარგებელი. ამასთან, „ბოკო ჰარამის“ წევრობა აღიქმებოდა უკეთესი ეკონომიკური მომავლის განმაპირობებელ ფაქტორად<sup>33</sup>.

**ჯგუფზე ორიენტირებული და დაფუძნებული იდენტობის ძიება** – რაც გულისხმობს იდეოლოგიური, სოციალური და რელიგიური ვალდებულებების შესრულებას.

---

<sup>33</sup> იქვე;



აღსანიშნავია, რომ ტერიტორიების დაკარგვასთან ერთად ISIS-მა მოუხშირა ბავშვების ბრძოლის წინა ხაზზე გაშვებას. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 იანვრამდე 89 გარდაცვლილის სტატისტიკა შემდეგ ინფორმაციას იძლევა: 51% ერაყში დაიღუპა, 36% სირიაში. გარდაცვლილთა 31% სირიელი იყო, 25% სირიელ/ერაყელი, 11% ერაყელი. დაღუპულთა 33%-ს კი შეა-

<sup>34</sup>Armstrong, M. (2017). Statista.com. The Children of the Islamic State <https://www.statista.com/chart/11603/the-children-of-the-islamic-state/>

დგენდნენ ბავშვები იემენიდან, საუდის არაბეთიდან, ტუნი-სიდან, ლიბიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, ავსტრალიიდან და ნიგერიიდან<sup>35</sup>.

*ბავშვები, რომლებიც ისლამური სახელმწიფოდან საკუთარ ქვეყნებში დაბრუნდნენ და ის ბავშვები, რომლებიც მიგრაციის შედეგად შევიდნენ სხვადასხვა დასავლურ სახელმწიფოებში, ნელი მოქმედების ბომბებს წარმოადგენენ, მათ შესაძლოა მომავალი ჯიჰადისტების რიგები შეავსონ.*

რადიკალიზაციის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის მიხედ-ვით (ICSR) 2018 წელს 41,490 უცხოელი მებრძოლიდან 12%-ს მოზარდები შეადგენენ – დაახლოებით 4,640 ბავშვი 80 ქვეყ-ნიდან. აქედან მხოლოდ 26 ქვეყანა იძლევა სანდო ინფორ-მაციას<sup>36</sup>. სულ 1460-1525 მოზარდი დაბრუნდა თავის ქვეყანაში სირიიდან და ერაყიდან, რაც დაბრუნებულების 20%-ს შეად-გენს. 2013 წლის აპრილიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით დაახლოებით 730 ახალშობილი დაიბადა ISIS-ის მიერ კონტ-როლირებად ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მებრძოლების ოჯა-ხებში (ზოგი წყაროს ცნობით, ხსენებულ ტერიტორიაზე დაბა-დებულ ბავშვთა რაოდენობა 5,000-ს აჭარბებდა)<sup>37</sup>. ამასთან, მიმდინარე ეტაპზე დაახლოებით 12,000 უცხოელი/უცხო ქვეყ-ნის მოქალაქე (მათ შორის 4 ათასი ქალი და 8 ათასი ბავშვი) იმყოფება სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტყვეთა

---

<sup>35</sup> Bloom, M., Horgan J., and Charlie, Winter. (2016). Depictions of Children and Youth in the Islamic State’s Martyrdom Propaganda, 2015-2016.

<sup>36</sup> Khomami, N. (2018, July 24). Number of women and children who joined Isis “significantly underestimated.” The Guardian. <https://www.theguardian.com/world/2018/jul/23/number-of-women-and-children-joining-isis-significantly-underestimated>

<sup>37</sup> იქვე;



ბანაკებში. 2019 წ. მაისის მონაცემებით, მხოლოდ ალ-ჰოლის ბანაკში ცხოვრობდა 73 ათასი ადამიანი, რომელთა 90% ქალი და ბავშვი იყო<sup>38</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაეროს მიერ ოფიციალური მონაცემები, რომლებიც ბავშვი მიგრანტების რაოდენობას ასახავს დასავლეთის ქვეყნებში იმ რეგიონებიდან და სახელმწიფოებიდან, რომლებმაც ყველაზე დიდი ზიანი განიცადეს ტერორისტული თავდასხმების შედეგად.

2019 წლის მონაცემებით<sup>39</sup>, მიგრანტი ბავშვების საერთო ჯამი შეადგენდა 202,945-ს, რაც 6%-ით მეტია 2018 წლის იგივე პერიოდის მონაცემებთან.

სირია მოწინავე ქვეყანაა, საიდანაც არიან მოზარდ მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა უმეტესობა – 21%. სხვა ქვეყნების მონაცემები ასე გამოიყურება:

- ავღანეთი 11%,
- ერაყი 7%,
- ვენესუელა 4%,
- ერიტრეა 4%,
- ნიგერია, თურქეთი, კოლუმბია და ალბანეთი 3%.<sup>40</sup>

---

<sup>38</sup> იქვე;

<sup>39</sup> Refugee and Migrant Children in Europe. (2019). <https://migration.iom.int/system/tdf/reports/UNHCR-UNICEF-IOM%20Factsheet%20on%20refugee%20and%20migrant%20children%20Jan-June%202019.pdf?file=1&type=node&id=7288>

<sup>40</sup> იქვე;



გერმანია რჩება ყველაზე მიმზიდველ მიმართულებად, კერძოდ, მასზე მოდის მიგრანტთა 35%; ხოლო დანარჩენ ევროპულ ქვეყნებში შემდეგი მაჩვენებელია:

- საფრანგეთი 13% (26,160 ბავშვი),
- საბერძნეთი 12% (25,165 ბავშვი),
- ესპანეთი 11% (21,715 ბავშვი),
- დიდი ბრიტანეთი 5% (10,295 ბავშვი).<sup>41</sup>

### ცხრილი N2

*ბავშვები თანმხლები პირებით ქვეყნის/ ტერიტორიის, წარმომავლობისა და ჩასვლის ქვეყნების მიხედვით.*

*UASC ქვეყნის/ტერიტორიის, წარმომავლობისა და ჩასვლის ქვეყნების მიხედვით*



<sup>41</sup> იქვე;

## დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ტერორიზმიდან მომავალი საფრთხე რეალურია. ბავშვი სამყაროს შეცნობის პროცესში სვამს კითხვებს, რაზეც ცდილობს მიიღოს ინფორმაცია, რაც ეხმარება მის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

ბავშვის ფიზიკურ განვითარებასთან ერთად ვითარდება და იხვეწება მისი ფსიქიკა. აღნიშნულ პერიოდში ბავშვზე ნეგატიური ზემოქმედება იწვევს მისი ფსიქიკის დაზიანებას, სხვადასხვა კომპლექსების განვითარებას, რაც ხელს უწყობს მის არასწორ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

კვლევაში მოყვანილი ფაქტები მიანიშნებს, რომ ნაწილი ბავშვებისა ექცევა საერთაშორისო ტერორიზმის გავლენის ქვეშ. ამავდროულად ფაქტია, რომ უფრო მეტ ბავშვზე გავლენას ახდენს ძალადობის შინაარსით გაჯერებული ვირტუალური სამყარო, რომელიც იმდენად ახლოა რეალურთან, რომ ხშირ შემთხვევაში ბავშვის ფსიქიკა ვეღარ აცნობიერებს სად გადის ზღვარი რეალურ და ვირტუალურ სამყაროს შორის. რაც საბოლოო ჯამში ბავშვს აყალიბებს მოძალადედ და მოწყვლადს ხდის საერთაშორისო ტერორიზმისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე კარგი იქნება თუ ცივილიზებული სამყარო უფრო აქტიურად დაიწყებს ზემოთ მოყვანილი საკითხების შესწავლას და მოცემული გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში იმუშავებს კოორდინირებულად. საერთაშორისო ორგანიზაციებმა კარგად უნდა შეისწავლონ რისკ ქვეყნებში ბავშვების ტერორიზმში ჩაბმის შესაძლო ფაქტორები,

უნდა შემუშავდეს სტარტეგია ბავშვების და მოზარდების ტერორისტულ ორგანიზაციებში გაერთიანების წინააღმდეგ. განისაზღვროს ასაკი, სქესი; გაძლიერდეს სოციალური პროგრამები; ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, როგორც სასწავლო დაწესებულებებში, ისე ოჯახსა და იმ პერსონალთან რომელთაც შეხება აქვთ ბავშვებთან. შემუშავდეს უსაფრთხოების პროგრამები სასწავლო დაწესებულებებისათვის, ასევე სოციალური ქსელები და ტელევიზია გამოყენებული იქნას ბავშვებისთვის არასწორი ინფორმაციის თავიდან აცილებისა და სწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის. აქტიურად უნდა განხორციელდეს კიბერ სივრცეზე მონიტორინგი რათა არიდებული იქნას ძალადობის შემცველი პროგრამები, თამაშები. კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ტერორიზმის გავლენის რეგიონებში, ბავშვთა აღწერასა და მათი მიგრაციის მონიტორინგს. ზემოთ ხსენებული ბავშვების მიგრაციის შემთხვევაში მიმღებ ქვეყნებში სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებისა და ბავშვებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან უნდა განხორციელდეს ბავშვებისათვის შეუმჩნევლად მეთვალყურეობა, მონიტორინგი, კერძოდ: თუ რა გარემოში განაგრძობენ ისინი ცხოვრებას, ვისთან მეგობრობენ, რითი ინტერესდებიან. შემუშავდეს სოციალური პროგრამები ბავშვების ჯანსაღ გარემოსთან ადაპტაციისა და შემდგომი ინტეგრაციისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

სუჯაშვილი, დ. (2018). *საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო*. თბ., გამ. „საარი“.

Sujashvili, D. (2020). High Technologies and Possible Use of Children in International Terrorism. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*, 14: 4.

Adeane, A. (2019, January 13). *Blue Whale: The truth behind an online “suicide challenge.”* BBC News. <https://www.bbc.com/news/blogs-trending-46505722>

American Academy of Child & Adolescent Psychiatry. (2015). Violent Behavior in Children and Adolescents. [https://www.aacap.org/AACAP/Families\\_and\\_Youth/Facts\\_for\\_Families/FFF-Guide/Understanding-Violent-Behavior-In-Children-and-Adolescents-055.aspx](https://www.aacap.org/AACAP/Families_and_Youth/Facts_for_Families/FFF-Guide/Understanding-Violent-Behavior-In-Children-and-Adolescents-055.aspx)

Anderson, K. (2016). Cubs of the Caliphate. The Systematic Recruitment, Training and Use of Children in the Islamic State. (<http://www.drake.edu/media/departments/offices/international/nelson/2016%20paper,%20Children%20in%20ISIS,%20K.%20Anderson.pdf>)

Bushman, B. J., & Anderson, C. A. (2002). Violent Video Games and Hostile Expectations: A Test of the General Aggression Model. *Personality and Social Psychology Bulletin*, 28(12), 1679–1686. <https://doi.org/10.1177/014616702237649>

Bloom, M., Horgan J., and Charlie, Winter. (2016). Depictions of Children and Youth in the Islamic State’s Martyrdom Propaganda, 2015-2016.

Griffin, A. (2014, December 3). *Stephen Hawking: AI could be the end of humanity.* The Independent: <https://www.independent.co.uk/news/science/stephen-hawking-ai-could-be-end-humanity-9898320.html>

Grossman, B. M. M. (2014, September 21). *WATCH: Islamic State's terror video game*. The Jerusalem Post | JPost.Com. <https://www.jpost.com/middle-east/is-claims-it-created-a-terror-video-game-375935>

Handbook on Children Recruited and Exploited by Terrorist and Violent Extremist Groups: The Role of the Justice System. (2017). [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/ChildVictims/Handbook\\_on\\_Children\\_Recruited\\_and\\_Exploited\\_by\\_Terrorist\\_and\\_Violent\\_Extremist\\_Groups\\_the\\_Role\\_of\\_the\\_Justice\\_System.E.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/ChildVictims/Handbook_on_Children_Recruited_and_Exploited_by_Terrorist_and_Violent_Extremist_Groups_the_Role_of_the_Justice_System.E.pdf)

*Hezbollah video game: War with Israel - CNN.com*. (2007). CNN. <http://edition.cnn.com/2007/WORLD/meast/08/16/hezbollah.game.reut/>

Hoffman, B. (2006). *Inside Terrorism. Religion and Terrorism*. Columbia University Press, New York.

Jessie Hill, Adam F. Kinney. (2008). *Sacred Violence: Religion and Terrorism, Case Western Reserve*. Journal of International Law.

Khomami, N. (2018, July 24). *Number of women and children who joined Isis "significantly underestimated."* The Guardian. <https://www.theguardian.com/world/2018/jul/23/number-of-women-and-children-joining-isis-significantly-underestimated>

Lakomy, M. (2017). Let's Play a Video Game: Jihadi Propaganda in the World of Electronic Entertainment. *Studies in Conflict & Terrorism*, 42(4), P. 383–406. <https://doi.org/10.1080/1057610x.2017.1385903>

